ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7383609

ნომერი: AR11077417

თარიღი : 12.02.2025

გაცემის თარიღი : 18.02.2025

გაცნობის თარიღი : 18.02.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქუჩა, N 36;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჯანელიძე პ/ნ 37001013083
- საქართველო, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სამტრედია, ეგნატე ნინოშვილის IV ჩიხი, N 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 12 თებერვალს №AR11077417 განცხადებით მომართა აკაკი ჯანელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის

№6546508 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებით, სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6534058 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვა 2023 წლის 12 ივლისიდან 2026 წლის 12 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებაში, მშენებლობის VI ეტაპთან დაკავშირებით ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2023 წლის 29 ივნისის №AR1975437 განცხადებაზე წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით მშენებლობის მე-6 ეტაპად გათვალისწინებულია მხოლოდ მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, თუმცა სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებაში, აღნიშნული ეტაპი ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში, მშენებლობის მე-6 ეტაპად დაფიქსირდეს შედეგი ჩანაწერი: "6) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოებიები.".
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 ივლისის №6546508 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.